არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი"

სენაკი, რუსთაველის 237 **მობ: 598276736; 0413 27 54 41**
kuteliabadri@gmail.com **axalgazrdobisadakulturiscentri@gmail.com**

№71 19 ივლისი 2023 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მ/შ

ბ-ნ ლევან ელიავას

ბატონო ვახტანგ,

თქვენი 14.07.2023 წლის №40-402319572 მომართვის პასუხად გეგზავნებათ ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი"-ს (ს/კ239892452) მიერ I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარსადგენად.

დანართი 14 (თოთხმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და
კულტურის ცენტრი"-ს დირექტორი: ბ. ქუთელია

ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა კულტურის ცენტრის" 2023 წელის 6 თვეში გაწეული ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიში.

2023 წლის 6 თვის ჯამური გეგმა შეადგენდა 474 929,0 ლარს, ფაქტიურად ჯამურმა ხარჯმა შეადგინა 417 663,0 ლარი.

სუბსიდიის ნაწილში გეგმით უნდა გახარჯულიყო 455100,0 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 403 603,0ლარი.

შრომის ანაზღაურება სუბსიდიის ნაწილში გეგმით იყო 310054,0 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 300 672.0 ლარი.

შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო გეგმით იყო 16560,0 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 13088,0 ლარი.

მივლინების ხარჯი გეგმით იყო 1100 ლარი, ფაქტიურად ხარჯმა შეადგინა 60 ლარი.

ოფისის ხარჯი გეგმით იყო 42 212,0 ლარი, ფაქტიურად ხარჯმა შეადგინა 27977,0 ლარი.

ტრანსპორტის მოვლა შენახვის ხარჯმა გეგმით შეადგინა 6400 ლარი, ფაქტიურმა კი 4108,0 ლარი.

უნიფორმის შეძენის ხარჯი გემით იყო 9000 ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 8999,0

სოციალური დახმარება ფულადი ფორმით გეგმით იყო 3546,0,0 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 3526,0

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება სუბსიდიის ნაწილში გეგმით იყო 48 594,0 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 32 532,0 ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა გეგმით 6 თვეში იყო 17 634,0 ლარი, ფაქტიური ხარჯი შეადგენს 12 641,0 ლარს.

2023 წლის 6 თვეში საკუთარი შემოსავლების გეგმა შეადგენდა 19 829,0 ლარს, ფაქტიურად ხარჯმა შეადგინა 14 061,0 ლარი.

შრომის ანაზღაურება საკუთარი შემოსავლებიდან გეგმით იყო 3713,0 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 3682,0 ლარი.

საქონელი და მომსახურება გეგმით იყო 13066,0 ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 7329,0 ლარი.

არაფინანსური აქტივის ზრდა გეგმით 3050,0, ფაქტიურად 3050,0 ლარი

სენაკის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობისა
და კულტურის ცენტრის დირექტორი: ბ.ქუთელია

მთ. ბუღალტერი: მ.ბაღათურია

სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის ანგარიში

სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი დაფუძნებულია მუნიციპალიტეტის მიერ მძლავრი კულტურული სექტორის შენარჩუნების , კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და განვითარების მიზნით, რომელიც ხელს შეუწყობს ხელოვნების დარგების პოპულარიზაციას და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის განვითარებაში.

ცენტრის სისტემაში ფუნქციონირებს ადმინისტრაცია, 17 ბიბლიოთეკა , მათ შორის 1 -ცენტრალური, 1-საბავშვო და 15 სათემო, ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თეოფანე დავითაიას სახელობის მუზეუმი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის მუზეუმი, კულტურის სახლი, 2 სოფლის კლუბი, სახვითი ხელოვნების გალერეა და მემორანდუმის საფუძველზეც შეიქმნილი ფოლკლორის ცენტრის ფილიალი.

მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში დასაქმებულია 112 ადამიანი.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:

1. მხატვრული კითხვის სექცია
2. ახალგაზრდული თეატრი
3. საესტრადო საკრავების ინსტრუმენტთა სწავლების სექცია
4. საესტრადო სიმღერების სწავლების სექცია
5. ქართული ხალხური ცეკვის სწავლების სექცია
6. სპორტული ცეკვების სწავლების სექცია

7. ეკოლოგიისა და ეკოტურიზმის სექცია „მწვანე ერთობა“

8. საბავშვო თეატრალური სკოლა-სტუდია (უფასო)

9. ტურიზმის განვითარების სექცია (უფასო)

10. წიგნის მოყვარულთა სექცია (უფასო)

11. საესტრადო მუსიკალური ბენდი „აკუსტიკა'' (უფასო)

ასევე ცენტრში ფუნქიონირებს 4 ანსამბლი

1. „კოლხური ტრიო''

2. ფოლკლორული ანსამბლი „ეგრისი''

3. ვაჟთა ანსამბლი „მუსიკელი''

4. ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხი“

ცენტრში ფასიანი წრეების ყოველთვიური გადასახადისგან თავისუფლდებიან

1. საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის მოზარდები

2. მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვები;

3. თანამშრომელთა შვილები და შვილიშვილები;

4. ხოლო დევნილები და შშმ პირები იხდიან საფასურის ნახევარს

მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობის ესთეტიკურ-შემეცნებითი აღზრდა;კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება, მათი შემოქმედებითი ცხოვრების გამრავალფეროვნება.

ცენტრში არსებული პროგრამა გულისხმობს ფოლკლორის,ტრადიციული და თანამედროვე ქორეოგრაფიის, ლიტერატურის , სანახაობითი და სადადგმო ხელოვნების, აუდიო-ვიზუალური, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო, სასოფლო-საკლუბო, კულტურული და ეკო-ტურიზმის სფეროების პოპულარიზაციის

ხელშეწყობას,მოსწავლე-ახალგაზრდობის მიერ კონცერტების მოწყობას, ფესტივალებზე მონაწილეობის მიღებას, საინფორმაციო უზრუნველყოფას სოციალური ქსელით, გაზეთით, ტელევიზიით და სხვა ღონისძიებას.

არსებულ სექციებში ირიცხება 240 ბავშვი.

ცენტრის ორგანიზებით 2023 წლის 1 იანვრიდან პირველ/მეორე კვარტალში განხორციელდა და ჩატარდა არაერთი პროექტი და ღონისძიება. მათი ჯამური რაოდენობა შეადგენს 60-ს .

ცენტრის შემოქმედებითმა ჯგუფებმა მონაწილეობა მიიღეს სხვა მუნიციპალიტეტში გამართულ ღონისძიებებში,მნიშვნელოვანი იყო ანსამბლ ,,მუსიკელის'' გასტროლი ლატვიასა და ლიტვაში. ჩატარებული ღონისძიებებიდან უნდა გამოიყოს პრემიერ მინისტრის ინიციატივით და მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით 16 იანვარს გამართული კონცერტი, რომელშიც მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ანსამბლები და შემოქმედებითი ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული, ასევე 21 მარტს სენაკში მცხოვრებ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს ცენტრმა უმასპინძლა გასართობ ცენტრ ,,ვარსკვლავებში '' და ანიმატორების დახმარებით ლამაზი დღე მოუწყო. 12-13 აპრილს გაიმართა მასშტაბური ღონისძიება, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ახალრეაბილიტირებულ შენობის გახსნას მიეძღვნა, 18 მაისს ანსამბლ ,,ოდოიას'' კონცერტით აღინიშნა ქართული სამოსისა და მუზეუმების საერთაშორისო დღე. მასშტაბური იყო ასევე 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც ჩვენი ცენტრის ორგანიზებით გაიმართა და გასართობ ცენტრ ,,ბიგ დეის'' ანიმატორების მონაწილეობით ჩატარდა გასართობი ქაფის შოუ და ბავშვებს დაურიგდათ ნაყინი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სენაკის მუნიციპალიტეტში პირველად მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით 9 ივნისს გამართული ინტელექტუალური თამაში: რა? სად? როდის? ,რომელშიც სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლამ მიიღო მონაწილეობა.

გალერეაში ეტაპობრივად ტარდება ქართველი და უცხოელი მხატვრების გამოფენა, ამ დროისთვის გალერეამ მოაწყო 4 გამოფენა და ცალკე აღნიშვნის ღირსია ფონდს შემატებული ლადო გუდიაშვილის ნახატი- ფ.ტ. ,,ზეიმი ქართლში''.

ბიბლიოთეკა მოემსახურა 132 მკითხველს და ჩატარდა 6 ღონისძიება, ხოლო მუზეუმს ესტუმრა 708 ვიზიტორი და ჩატარდა 8 ღონისძიება. მუზეუმი აქტიურად თანამსრომლობს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სამუზეუმო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობის მიზნით.

2023 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისის ჩათვლით ჩატარებული ღონისძიებები და აქტივობები ასახულია ა(ა)იპ სენაკის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი,,-ს ფეისბუქ გვერდზე, როგორც სურათებით, ასევე ვიდეოს სახით. ასევე ატვირთულია სხვადასხვა პოეტების და მწერლების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ვიდეო მასალა იუთუბ არხზეც, დაგეგმილი ღონისძიებების ანონსი წინასწარ თავსდება გვერდზე. დღეის მდგომარეობით გვერდს 8230 მოწონება აქვს და 8697 გამომწერი ჰყავს.

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში ჩატარებული
კულტურული ღონისძიებები
(2023 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით)

N	ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა	ჩატარების თარიღი	ჩატარების ადგილი	დახარჯული თანხა	შენიშვნა
1	მუნიციპალიტეტში გამართულ საშობაო ალილოზე მონაწილეობა	7 იანვარი	სენაკის მუნიციპალიტეტი	0	
2	საქართველოს სახელმწიფო დროშის დღე	14 იანვარი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი	0	
3	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობა საახალწლო კონცერტზე	17 იანვარი	სენაკის მუნიციპალიტეტი	0	
4	წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე	1 თებერვალი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა	0	
5	ანსამბლი „მუსიკელის" გასტროლები ლატვიასა და ლიეტუვაში	28 თებერვალი	ლატვია და ლიეტუვა	0	
6	სენაკელი არქიტექტორის, მხატვარ ზაზა ჯანჯღავას პერსონალური გამოფენა	2 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი სახვითი ხელოვნების გალერეა	0	

7	„ქალი, მზე, სიყვარული"	2 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა	87,50 ლარი	
8	ჟიული შარტავას ცხოვრების ამსახველი ფოტო და პერიოდული პრესის გამოფენა	6 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა და ჟიული შარტავას მუზეუმი	56 ლარი	
9	საქართველოს ეროვნულ გმირს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს - ჟიული შარტავას 79 წელი შეუსრულდებოდა...	7 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი	50 ლარი	
10	აქტივობა - დედისა და ქალთა დღე	7 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი	486 ლარი	
11	ტურისტული კლუბის წევრები სტუმრად მუზეუმებში	14 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი სენაკის ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები	0	
12	„მზის შვილების" დღის აღნიშვნა	21 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი ბავშვთა გასართობი ცენტრი „ვარსკვლავები"	400	

13	„ვიცნობდეთ ჩვენი კუთხის ისტორიას" ფარგლებში სენაკის #2 და #3 საჯარო სკოლის მოსწავლეები სტუმრად მუზეუმებში	22 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი სენაკის ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები	0	
14	გამოჩენილი ქართველი ებრაელის, საზოგადო მოღვაწის, მთარგმნელის, პოეტის, ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 79 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება	23 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი სენაკის ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები	0	
15	საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმიდან 32-ე წლისთავისა და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღისადმი მიძღვნილი საღამო	31 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი დ. ჯაიანის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	0	
16	34 წელი 9 აპრილის ტრაგედიიდან - მუნიციპალიტეტში დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობა	9 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი	247 ლარი	
17	ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტირებული შენობის საზეიმოდ გახსნა	11 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი დ. ჯაიანის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	2615,30 ლარი	

18	დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები	12 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო და საბავშვო ბიბლიოთეკები	51 ლარი	
19	კონცერტი „გაზაფხულის ზეიმი"	12-13 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	305 ლარი	
20	დედაენის დღისა და სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირულ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი კომპოზიცია „მამული, ენა, სარწმუნოება"	20 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი დ. ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	0	
21	ტურისტული კლუბის წევრები სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრსა და ქალაქის პარკში მდებარე დიდების კუბს ესტუმრნენ	21 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	0	
22	დედამიწის დღესთან დაკავშირებით დასუფთავების აქცია გაიმართა	22 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი დ.ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიმდებარე ტერიტორია	0	

23	პროექტ „ვიცნობდეთ ჩვენი კუთხის ისტორიას“ ფარგლებში ფოცხოს თემის ისტორიის პრეზენტაცია	25 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	0	
24	ნორვეგიელი მხატვრის, ჰელა ედენის პერსონალური გამოფენა	27 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი სახვითი ხელოვნების გალერეა	0	
25	ანსამბლ „კოლხური ტრიოს" მონაწილეობა ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკის ფესტივალ „ნანინაში"	2 მაისი	თბილისი	300 ლარი	
26	საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნა	3 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა	365,80 ლარი	
27	ანსამბლი „მუსიკელი“ სტუმრად აჭარის სატელევიზიო გადაცემაში ART ექსპერტი	3 მაისი	აჭარის სატელევიზიო გადაცემა ART ექსპერტი	0	
28	ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხის" მონაწილეობა ქორეოგრაფიული ანსამბლების პირველ რესპუბლიკურ ფესტივალზე „ხომლი 2023“	6 მაისი	ცაგერის მუნიციპალიტეტი „მწვანე თეატრი“	700 ლარი	

29	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის თეატრალური დასის მონაწილეობით სპექტაკლი "HELLADOS-გაკვეთილის" პრემიერა	8-9 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი დ. ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	2016,50 ლარი	
30	საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები	12 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი საბავშვო და ადმინისტრაციული ერთეულების ბიბლიოთეკები	0	
31	საბიბლიოთეკო კვირეულის დახურვა	15 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა	70 ლარი	
32	ანსამბლი „მუსიკელის" ხანგრძლივი ტურნე	მაისი	დიდი ბრიტანეთი	0	
33	სენაკის საპატიო მოქალაქე, ექიმი და საზოგადო მოღვაწე, პაატა ქურდოვანიძე რუბრიკით „ერთი ოჯახის ისტორია"	17 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	0	
34	მუზეუმების საერთაშორისო დღე და ეროვნული სამოსის დღე	18 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები დ.ჯაიანის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მიმდებარე ტერიტორია	1732 ლარი	

35	სემინარი თემაზე: „რა არის ლაშქრობა“	22 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი სენაკის სახვითი ხელოვნების გალერეა	0	
36	ცენტრის თეატრალური დასის მონაწილეობით სპექტაკლი “HELLADOS - გაკვეთილი“	23-24 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	0	
37	26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიება	24 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის ბიბლიოთეკა	0	
38	ღია გაკვეთილი თემაზე: „საქართველო უპირველეს ყოვლისა“	25 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	0	
39	დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	26 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი დ. ჯაიანის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	280 ლარი	
40	დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა	26 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა	0	

41	1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა	1 ივნისი	სენაკის მუნიციპალიტეტი დ.ჯაიანის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიმდებარე ტერიტორია	3160 ლარი	
42	ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო, შემეცნებითი და გასართობი აქტივობები	2 ივნისი	სენაკის მუნიციპალიტეტი ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის კლუბი	0	
43	ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?"	9 ივნისი	სენაკის მუნიციპალიტეტი სპორტ-სკოლის დარბაზი	5565 ლარი	
44	ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხის" მონაწილეობა ყოველწლიურ ფესტივალზე „ცეკვის ფესტივალი თელავში"	11 ივნისი	თელავის მუნიციპალიტეტი	2500 ლარი	
45	ცენტრის თეატრალური დასის მონაწილეობით სპექტაკლი "HELLADOS - გაკვეთილი"	14-15 ივნისი	სენაკის მუნიციპალიტეტი დ.ჯაიანის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	0	
			დახარჯული თანხა სულ	**20987,10 ლარი**	

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი: ბ. ქუთელია